

შეთანხმების უწყისი

საქართველოს, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და მოკავშირეთა ევროპული ძალების უმაღლეს შტაბს შორის „სამხედრო საქაერო ძალების სარდლობის ცენტრალური საკომანდო ცენტრს (CCC), თბილისი (საქართველო) და კონტროლისა და რეპორტების ცენტრ (CRC) ერზურუმს (თურქეთი) შორის საქაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის შესახებ“ ურთიერგაგების შემორანდუმზე

| № | უწყისი ღასახელება | შენიშვნის შინაარსი | რეპარება |
|---|----------------------|--|--|
| 1 | იუსტიციის სამინისტრო | წინამდებარე შემორანდუმი უნდა დაიღოს ს. 'საქართველოს სახელით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ შემორანდუმის პროექტი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა შეიცვალოს პროექტის მე-8 მუხლის 8.1 პუნქტი. | გათვალისწინებულია. |
| 2 | | მართებულია შემორანდუმის პროექტის ტექსტიდან ამოღებული იქნას სიტყვა „შესაბამის“. | გათვალისწინებულია. |
| 3 | | მიზანშეწონილია, დაზუსტდეს, რომელი საერთაშორისო შეთანხმებები იგულისხმება პრეამბულის მე-3 აბზაცში, ხოლო ფრაზა „შიდა კანონმდებლობისა და ნორმების“ შეიცვალოს ფრაზით „შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის“ ამასთან, აღნიშნული დებულება, მართებულია, პრეამბულიდან გადაგანიღ იქნეს შემორანდუმის პროექტის მე-7 მუხლში, რომელიც ეხება გაყვლილი ASDE ინფორმაციის დაყვას. | გათვალისწინებულია, რაც შეეხება საერთაშორისო შეთანხმებების განსაზღვრასა და მე-3 მუხლში გადაგანას მიზანშეწონილად არ მიგაჩნია, რადგანაც მივიჩნევთ რომ ასეთი მოგადი და პრინციული დებულება მიზანშეწონილია განსაზღვრულ იქნეს პროექტის პრეამბულაში. |
| 4 | | პროექტის პირველ მუხლსა და შემდგომ ტექსტში უნდა განისაზღვროს „საიგის ადგილმდებარეობა საქართველოში“ და „ქართული სამხედრო საიგის სახელი, რომელსაც ASDE დაუკავშირდება“ | გათვალისწინებულია. |
| 5 | | შემორანდუმის პროექტის მე-3 მუხლის სათაურს უნდა დაეკავოს სიტყვა „შემორანდუმის“. | გათვალისწინებული არაა, რადგანაც თავად აღნიშნული მუხლი, ისევე როგორც თავად სათაური ისედაც ეხება შემორანდუმს, და დაკრეკება მიზანშეწონილად არ მიგაჩნია. |
| 6 | | მიზანშეწონილია, პროექტის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტის წინ დაემაგოს ფრაზა „წინამდებარე შემორანდუმის“. | გათვალისწინებულია, ვინაიდან „ASDE“ აბრევიატურა წარმოადგენს თავად შემორანდუმის სახელს. |
| 7 | | პროექტის მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში დასაზუსტებელია, რა იგულისხმება ტერმინში „პუბლიკაციები“. აქვე, მართებულია, შიდა ნორმების ნაკვლად მითითება მოხდეს ინფორმაციის გადამცემი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაზე. | არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან პუბლიკაციები ამ შემთხვევაში გულისხმობს ოფიციალურად გამოქვეყნებულ აქტებს ხოლო ინფორმაციის დაყვას თურქული მხარე ეერ მოახდენს ინფორმაციის გადამცემი მხარის |

| | | | |
|----|----------------------------|---|---|
| | | | კანონმდებლობის მიხედვით, რადგანაც თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედებს თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა. |
| 8 | | პროექტის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტს, მართებულად დაემატოს შემდეგი ფრაზა: „ამ მემორანდუმის ბაზაში შესვლისას უნდა იქნეს პროცედურების დაქვემდებარება“ ხოლო 9.2 პუნქტში ჩაშენებულია დაბმულად, რა იგულისხმება ფრაზაში „შესაბამის დოკუმტ“. | ნაწილობრივ გათვალისწინებულია. |
| 9 | | დასკენით დებულებაში შეთანხმების მხარედ მითითებულ უნდა იქნეს თურქეთის მთავრობაც ასევე, მართებულია, დასკენით დებულებაში გათვალისწინებულ იქნეს შესრულების ადგილი, ენა და აუთენტიკური გეგმების რაოდენობა. | გათვალისწინებულია. |
| 10 | | პროექტის ქართულენოვანი ტექსტი გასამართია სტილისტური და მთარგმნელობითი თვალსაზრისით პროექტის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტების მე-9 მუხლის ქვეპუნქტების ნუმერაცია შესაბამისობაშია მოსაყვანი ერთმანეთთან. | გათვალისწინებულია. |
| 11 | საგარეო საქმეთა სამინისტრო | პრეამბულაში ფრაზა: „საქართველოს ფედერალური თავდაცვის სამინისტრო“, შეიცვალოს ფრაზით: „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“. | გათვალისწინებულია. |
| 12 | | პრეამბულაში ფრაზა: „(შემდეგი მხარეები)“ შეიცვალოს ფრაზით: „შემდგომში მხარეებად წოდებულნი“. | გათვალისწინებულია. |
| 13 | | პრეამბულის თითოეულ აბზაცში, ფრაზა: „აღნიშნავენ, რომ“, შეიცვალოს ფრაზით: „აღნიშნავენ რა, რომ“. | გათვალისწინებულია. |
| 14 | | მიზანშეწონილია მემორანდუმის პროექტის მე-9 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგ ორ მუხლად: პირველი: „ცვლილებებისა და დამატებების შექანა“ და მეორე: „დაეების მოგვარება“. | გათვალისწინებულია. |
| 15 | | პრეამბულაში და შემდგომში მთელ ტექსტში, ფრაზა: „შიდა კანონმდებლობისა და მორმების მიხედვით“, შეიცვალოს ფრაზით: „მხარეთა სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“. | ნაწილობრივ გათვალისწინებულია. |
| 16 | | მართებულად მიგვაჩნია, მემორანდუმის პროექტში ხელმოწერის პროცედურა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ფრაზა: „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“ შეიცვალოს ფრაზით: „საქართველოს სახელით“. | გათვალისწინებულია. |
| 17 | | საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამხედრო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება იდება საქართველოს სახელით და ექვემდებარება პარლამენტის მიერ რატიფიკაციას. | გათვალისწინებულია. |
| 18 | ფინანსთა სამინისტრო | შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია. | |
| 19 | თავდაცვის სამინისტრო | საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ქსაბამისად, მიზნაშეწონილია, რომ აღნიშნული მემორანდუმი საქართველოს სახელით დაიდოს. | გათვალისწინებულია. |

| | | | |
|----|--|--|--------------------|
| | | მიზანშეწონილია, რომ პროექტის გეგმაში ადგილმდებრეობად საქართველოში განისაზღვროს: „სამხედრო საჰაერო ძალების სარდლობის ცენტრალური საკომანდო ცენტრი (CCC), თბილისი (საქართველო)“. | გათვალისწინებულია. |
| 20 | | მიზანშეწონილია, რომ გეგმაში სიგვეა: „საიტი“ შეიცვალოს სიგვეით „ობიექტი“. | გათვალისწინებულია. |
| 21 | | მიზანშეწონილია, რომ პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1.1. საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლა (ASDE) – საჰაერო მოძრაობის მარშრუტების შესახებ არაკლასიფიცირებულ მონაცემთა გაცვლა კავშირი 1 ბუფერის, კავშირი 1 წინა ფილტრისა და CRC ერზრუმსა და CCC თბილისის შორის არაკლასიფიცირებული ორპუნქტოვანი საგელეკომუნიკაციო არხების მეშვეობით, MCM-140-00-ის საფუძველზე და დამატებითი ტექნიკური შეთანხმებების შესაბამისად.“ | გათვალისწინებულია. |
| 22 | | მიზანშეწონილია, რომ პროექტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3.3. ASDE-ს ტექნიკური დოკუმენტი შეიძლება წარმართოს MS14-140-00-ის მიხედვით, როგორც ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლისთან ამასთან, -მა შეიძლება არჩიოს ASDE ოპერაციების შეწყვეტა.“ | გათვალისწინებულია. |
| 23 | | მიზანშეწონილია, რომ პროექტის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „ა“ ქვეპუნქტი, ხოლო დანარჩენი ქვეპუნქტები შესაბამისად გადაინომროს: „ა) ამ ურთიერთგაგების შემორანდუმში ჩამოყალიბებული ASDE-ს იმპლემენტაციისათვის კომპეტენტურ ორგანოდ განსაზღვრავს თურქეთის საჰაერო ძალებს.“ | გათვალისწინებულია. |
| 24 | | მიზანშეწონილია, რომ პროექტის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დ) საქართველოსთან კოორდინაციით, პასუხისმგებელია თურქეთში იმ შესაბამისი საგელეკომუნიკაციო არხების კოორდინაცია და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, რომელიც გამოყენებული იქნება CRC ერზრუმსა და CCC თბილისის შორის მონაცემთა და ხმოვანი კავშირისათვის.“ | გათვალისწინებულია. |
| 25 | | მიზანშეწონილია, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში სიგვეები „ მ პარტნიორი ქვეყანა“ შეიცვალოს სიგვეით „საქართველო“. | გათვალისწინებულია. |
| 26 | | მიზანშეწონილია, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „გ) თურქეთთან კოორდინაციით, პასუხისმგებელია საქართველოში იმ შესაბამისი საგელეკომუნიკაციო არხების მიწოდების/შესყიდვის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, რომელიც გამოყენებული იქნება CRC ერზრუმსა და CCC თბილისის შორის მონაცემთა და ხმოვანი კავშირისათვის.“ | გათვალისწინებულია. |
| 27 | | მიზანშეწონილია, შინაარსობრივად დაიხვეწოს პროექტის მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები. | გათვალისწინებულია. |

| | | | |
|----|--|---|--------------------|
| 28 | | <p>უნიაიდან საქართველოს კანონის „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სამხედრო ხასიათის ხელშეკრულების საქართველოს მიერ საუკლავლოდ აღიარებისათვის აკუილებელია საქართველოს პარლამენტის რატიფიკაცია, მიზანშეწონილია, რომ პროექტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „8.1. ეს მემორანდუმი ძალაში შევა მხარეთა მიერ ყველა შესაბამისი პროცედურის დასრულების შესახებ ნოტების გაცვლის დღიდან და ძალაში დარჩება მანამ, სანამ მას შეწყვეტს რომელიმე მხარე ყველა სხვა მხარისათვის ექვსი თვით ადრე წერილობითი შეტყობინებით.“</p> | გათვალისწინებულია. |
| 29 | | <p>მიზანშეწონილია, რომ მე-9 მუხლის სათაურში სიტყვები: „მოდიფიცირება და განმარტებები“ შეიცვალოს სიტყვებით: „ცვლილებები და დამატებების შეტანა“, ხოლო პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „9.1. ამ მემორანდუმში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა შეიძლება ყველა მხარის წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები და დამატებები ძალაში შევა ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის 8.1 პუნქტის შესაბამისად.“</p> | გათვალისწინებულია. |
| 30 | | <p>მიზანშეწონილია, რომ პროექტს დაემატოს მუხლი შემდეგი რედაქციით:</p> <p>„მუხლი 12. ტექსტი და ხელმოწერა</p> <p>12.1. ზემოაღნიშნული თანხმობა მიღწეულია საქართველოს, თურქეთის რესპუბლიკისა და მოკავშირეთა რესპუბლიკის ქალების უმაღლეს შტაბს მორის ზემოაღნიშნულ საკითხს დაკავშირებით ურთიერთგაგების მემორანდუმი შედგება 9 გვერდისაგან და ხელმოწერილია სამ ეკვიპლარად სტამბოლში 1998 წლის 12 იანვარს.“</p> | გათვალისწინებულია. |